

Image not found or type unknown

საიამ რუსთავი 2-ის წილებთან დაკავშირებით მიმდინარე საქმეზე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარადგინა

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მას შემდეგ, რაც შპს „სამაუნწყებლო კომპანია რუსთავის 2-ის [] საკუთრებაში დაუბრუნდა ქიბარ ხალვაშს, წინა მესაკუთრეებმა, ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა მიმართეს სასამართლოს წარსულში მათი კუთვნილი წილების დაბრუნების მოთხოვნით. კერძოდ, მოსარჩელები სასამართლოში ითხოვენ 2004 წელს იძულებით დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, საჯარო რეესტრში შპს „სამაუნწყებლო კომპანია რუსთავის 2-ის [] პარტნიორის, ქიბარ ხალვაშის 60%-იანი წილის რეგისტრაციის გაუქმებასა და მათ 30%-30%-იანი წილებისმესაკუთრეებად აღიარებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელების სარჩელი, იმ მოტივით რომ ქიბარ ხალვაში არის შპს „სამაუნწყებლო კომპანია რუსთავის 2-ის [] წილების კეთილსინდისიერი შემძენი და მან არ იცოდა ქიბარ ხალვაშის მიმართ წინა ხელისუფლების დროს განხორციელებული იძულების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებელია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო წესით საქმის განხილვისას საიამ სასამართლოს წარუდგინა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება. დოკუმენტის მიზანია წილის ნასყიდობისას შემძენის კეთილსინდისიერების შესაფასებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 187-ე და 312-ე მუხლების გამოყენების საკითხის გადაწყვეტაში სასამართლოს დახმარება. ასევე, განხილულია რიგი ხარვეზები, რომლებიც საიას მოსაზრებით გამოიკვეთა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში.

საია იმედს გამოთქვამს, რომ სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დაეხმარება თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინამდებარე საქმეზე ობიექტური, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში.

საკითხით დაინტერესებულ პირებს საიას მიერ მომზადებულ სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებას შეუძლიათ გაეცნონ [მიბმულ ფაილში](#).